# დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

## ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 108233346**

თარიღი:**30/11/2023**

**დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დემონტაჟის მიზნით ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე მუხლის, ,,მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის Nგ-109.109233325 განკარგულების საფუძველზე და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N002376523, N002599523 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით,

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს დემონტაჟის მიზნით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონი დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ. დმანისი, გამსახურდიას ქ. N5-ში მდებარე 1034 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და 2599 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკეთებზე განთავსებულ შენობა ნაგებობებზე: N 1-განაშენიანების ფართი 805 კვ.მ და N2 შენობა 56 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 82.01.46.046; 82.01.46.572).

1.1 დამტკიცდეს საპრივატიზებო უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური, ,,ბე“ და ,,ბიჯი“, კერძოდ:

ქ. დმანისი, გამსახურდიას ქ. N5-ში მდებარე 1034 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და 2599 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკეთებზე განთავსებულ შენობა ნაგებობებზე: N 1-განაშენიანების ფართი 805 კვ.მ და N2 შენობა 56 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 82.01.46.046; 82.01.46.572) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით, ,,ბე“ განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ,,ბიჯი“ განისაზღვროს 50(ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

1.2. ელექტრონული აუქციონის პირობად განისაზღვროს:

ა) აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს შენობის სრული დემონტაჟი, დემონტაჟის განხორციელების შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ.

ბ) საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გატანა, ტერიტორიის მოწესრიგება დასუფთავება დემონტაჟისთვის განსაზღვრულ ვადებში.

გ) სადემონტაჟო სამუშაოები განახორციელოს ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით განსაზღვრული წესით, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დ) უზრუნველყოს დემონტაჟისთვის პროექტის მომზადება და ტერიტორიის მოწესრიგება

დასუფთავება შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

2. ინფორმაცია ელექტრონულ აუქციონის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე WWW.eauction.ge
3. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს 2023 წლის 01 დეკემბრიდან 2023 წლის 11 დეკემბრის 17:00 საათი ჩათვლით.
4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე-უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

5. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

6. აუქციონში გამარჯვებულ პირსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამისი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.

7. ბრძანების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ოქმის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა აუქციონში გამარჯვებული პირი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს მუნიციპალიტეტის ქონების შეძენის სრული ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

8. აუქციონში გამარჯვებულ პირსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 22 (ოცდაორი) კალენდარული დღის ვადაში.

9. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებისას, დადგენილ ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება მუნიციპალიტეტის ქონებაზე, ხოლო ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდებ.

10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს თემურ ზურაბიშვილს.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113), მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი